ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 487

"24" ოქტომბერი 2025 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, ხიზანიშვილის ქ. №20-ის მიმდებარედ არსებული 14 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.11.12.012.037) 8 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით ციცინო ბარბაქაძისთვის (პ/ნ. 01001006090) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, ხიზანიშვილის ქ. N20-ის მიმდებარედ არსებული 14 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.11.12.012.037) 8 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით ციცინო ბარბაქაძისთვის (პ/ნ 01001006090) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 24.09.2025წ. N25.1610.1788 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ხიზანიშვილის ქ. N20-ის მიმდებარედ არსებული 14 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.11.12.012.037) 8 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით ციცინო ბარბაქაძისთვის (პ/ნ 01001006090) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემაზე, კიბის ფუნქციონირების მიზნით.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 1152 (ათას ას ორმოცდათორმეტი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძე